დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები

BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე!
ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია(შემდგომში აკადემია) უზრუნველყოფს სივრცეების მოწესრიგებას წინამდებარე წესის და კანონმდებლობის შესაბამისად.
2. აკადემიის ტერიტორიაზე სათანადო ადგილას გამოკრულია შესაბამისი საინფორმაციო თვალსაჩინოებები;
3. სამუშაო ადგილებზე ხორციელდება შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება .
4. ყოველდღიურად უზრუნველყოფილია დახურული სივრცეების/ სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;
5. აკადემიის ტერიტორია უზრუნველყოფილია ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური საშუალებებით და ნარჩენების გადასაყრელად დახურული კონტეინერებით. კონტეინერებში ჩაფენილია იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და დროული გატანა ხორციელდება დამლაგებლის მიერ;
6. აკადემიაში ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება სამუშაო სივრცეებისა და ადგილების სველი წესით დალაგება/დეზინფექცია .
7. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფასა და დასუფთავებას ახორციელებს დასუფთავების სპეციალისტი.
8. აკადემიას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა, რომელიც მიერთებულია ცენტრალურ წყალმომარაგების ქსელზე და შეუფერხებლად აწვდის საჭირო რაოდენობის სასმელ წყალს;
9. დაწესებულების პერსონალის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანია სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეების განათების დონე, ჰაერის სისუფთავე და ტემპერატურული რეჟიმი, რადგან აღნიშნულ ფაქტორები ახდენს დიდ ზეგავლენას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/თანამშრომლის ორგანიზმზე/შრომისუნარიანობაზე.
10. დაწესებულების სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებს აქვს ბუნებრივი განათება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს განიავების შესაძლებლობასაც.
11. ოთახები ნიავდება რეგულარულად (ყოველდღიურად);

მუხლი 2. დასუფთავების სპეციალისტი ვალდებულია:

1. *დაამუშავოს სველი წერტილები დღეში ორჯერ სადეზინფექციო საშუალებებით;*
2. *დაამუშაოს საოფისე ინვენტარი საჭიროების მიხედვით და სასწავლო სივრცის ავეჯის ზედაპირები ;*
3. *დაამუშაოს საერთო სამუშაო, სასწავლო ფართი და სანიტარული წერტილები ყოველდღიურად (საჭიროების შემთხვევაში დღეში ორჯერ);*
4. *დაამუშაოს სახელურები, მოაჯირები, კარის სახელურები და ხშირად გამოყენებული ზედაპირები სანიტარულად ;*
5. *ყოველი სამუშაო დღის შემდგომ დაალაგოს/დაამუშაოს საერთო გამოყენების სივრცეები სველი წესით;*
6. *გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერებიდან ამოიღოს და განკარგოს ნარჩენების პარკი ხელის ჰიგიენის უპირობო დაცვით;*
7. *გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის განკუთვილ დახურულ კონტეინერებში ჩააფინოს ერთჯერედი გამოყენების პარკები;*
8. *თავმოკრული პარკები გაიტანოს სხვა ნარჩენებისაგან განცალკევებით და მოათავსოს მუნიციპალურ ბუნკერში;*
9. *განახორციელოს სამუშაო ადგილებზე ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებების განთავსება და შევსება;*
10. *განახორციელოს სანიტარულ წერტილებში ჰიგიენის საშუალებების და გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცების მარაგების განთავსება და შევსება;*
11. *აწარმოოს ყოველდღიურად დახურული სივრცეების/სათავსოების ბუნებრივი ვენტილაცია ;*

მუხლი 3. დასუფთავების სპეციალისტის უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველყოფა

3.1.დასუფთავების სპეციალისტის საქმიანობა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რომლებიც სრულად შეესაბამება ჰიგიენურ და უსაფრთხოების სტანდარტებს.

3.2.აკადემია რეგულარულად ამარაგებს სპეციალისტს საჭირო ინვენტარითა და დამცავი აღჭურვილობით.

3.3 აღნიშნული უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას და სანიტარულ–ჰიგიენური წესების შეუფერხებელ დაცვას.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე გამოიცემა აკადემიის რექტორის ბრძანება;

4.2 მექანიზმის ეფექტიანი დანერგვის/განხორციელების მიზნით აკადემია უზრუნველყოფს შესაბამის პასუხისმგებელ პირებისათვის პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარებას;